CAUCASUS OPEN SPACE

ირჩევნები საფრთხეებია

ანალიტიკური სერია #1

სამართლიანი და თავისუფლი არჩევნები - შესავალი

2024 წლის საპარლამენტო არჩევნები, უსაფრთხოება, კანდიდატის სტატუსი

ავტორები: ირმა პავლიაშვილი, თამარ საძაგლიშვილი

რედაქტორი: თეონა მაჭარაშვილი

ანალიტიკური სტატიების სერია

2024

„არჩევნებს შეუძლია გააძლიეროს დემოკრატია, ქვეყნის განვითარება, ადამიანის უფლებები და უსაფრთხოება, ან ძირი გამოუთხაროს მათ.“[1]

დემოკრატიულ სისტემაში „სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფო“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, სახელმწიფო უნდა აღიარებდეს და იცავდეს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს, რადგანაც სახელმწიფო შებოჭილია ამ უფლებებითა და თავისუფლებებით. სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპების განმტკიცებაზე. ხელისუფლების წყაროა ხალხი და მისი ნების გამოხატვის ერთ-ერთი უმთავრესი ინსტრუმენტია - პერიოდული, სამართლიანი და თავისუფალი არჩევნები.[2]

არჩევნების სამართლიანობა თავის მხრივ მოიცავს თავისუფალ, ინკლუზიურ, თანასწორ და კონკურენტულ საარჩევნო გარემოს, სადაც დაცულია ადამიანის კონსტიტუციური უფლებები, უზრუნველყოფილია გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულობის სტანდარტები, ამომრჩევლები ენდობიან არჩევნების შედეგებს.

როდესაც პოლიტიკურ ლიდერებს, მაღალი პოლიტიკური თანამდებობის და სხვა საჯარო პირებს არ აქვთ საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვის პოლიტიკური ნება, როცა სამართლებრივი სისტემა არაეფექტურად მუშაობს, ხოლო არჩევნების შედეგებისადმი ნდობა სუსტია, იქ ხელისუფლებას არ გააჩნია აუცილებელი ლეგიტიმაცია სახელმწიფოს მართვისთვის.

სტატია „სამართლიანი და თავისუფალი არჩევნები - შესავალი“ პირველი ნაწილია სტატიების ციკლისა, რომელიც ეხება მიმდინარე პერიოდში საქართველოში არსებული პოლიტიკური და საარჩევნო გარემოს ანალიზს.

პირველი ნაწილი მიმოიხილავს იმ რისკებს, რომლებიც საფრთხეს უქმნის დემოკრატიულ ქვეყნებს და სამართლიან არჩევნებს, მათ შორის საქართველოს, განიხილავს სამართლიანი და თავისუფალი არჩევნების კარგ პრაქტიკას და საქართველოსთვის სახელმძღვანელო პრინციპებს.

---

[1] IDEA, The Integrity of Elections. International Institute for Democracy and Electoral Assistance 2012, ბმული;

[2] საქართველოს კონსტიტუცია;

არჩევნები და უსაფრთხოება

საარჩევნო პროცესში, როგორც წინასაარჩევნო, ასევე კენჭისყრის დღისა და შემდგომი პერიოდის ჩათვლით, ჩართული ყველა მხარის მიერ სამართლიანი არჩევნების წესების და პრინციპების დაცვა არსებითია, ვინაიდან მათი ეფექტური განხორციელების გარეშე საუკეთესოდ გაწერილი პროცედურებიც კი ვერ შეასრულებს თავის ფუნქციას და შესაძლებელია პოლიტიკური ანგარიშსწორების იარაღად იქცეს.

პოლიტიკური კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამართლებრივი სტრუქტურა და მისი შესაბამისი პროცედურები. აუცილებელია ისეთი ეფექტური მექანიზმები, რომლითაც საარჩევნო კანონმდებლობის ნებისმიერი დარღვევა დროულად შეჩერდება (არსებითი ზიანის დადგომამდე) და საარჩევნო პროცესში ჩართული უწყებები მიუკერძოებლად და პროფესიულად მიიღებენ მის კომპეტენციაში არსებულ საკითხებზე გადაწყვეტილებებს. კანონმდებლობის ეფექტური აღსრულება არა მხოლოდ იცავს საარჩევნო პროცესის ლეგიტიმურობას, არამედ პრევენციულ როლსაც ასრულებს მომავალში, სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობისა და განმტკიცებისათვის.

საარჩევნო მოხელეებს, საარჩევნო პროცესში ჩართულ სხვა სახელმწიფო უწყებებს, მათ შორის თავდაცვისა და უსაფრთხოების წარმომადგენლებს, მოსამართლეებს უნდა ჰქონდეთ რეალური დამოუკიდებლობა, რომელსაც პატივს სცემენ პოლიტიკოსები. ნებისმიერი სახელმწიფო ინსტიტუცია თუ გატარებული რეფორმა, რომელსაც არ მოჰყვება წესების სამართლიანი აღსრულება ვერ მოიპოვებს საზოგადოების ნდობას და მხარდაჭერას. განვითარებადი დემოკრატიის ამ გამოწვევების ფონზე, როდესაც ნდობის ფაქტორი თავიდანვე არ არსებობს, ქვეყნის მოსახლეობას უჩნდება იმედგაცრუება და სამართლიანი განცდა იმისა, რომ დემოკრატიის საფუძველები დაუცველია. ეს კი ხელს უწყობს რადიკალური იდეოლოგიებისა და ექსტრემიზმის განვითარებას, რასაც საქართველოს მაგალითზეც ვხედავთ.[3]

აღნიშული ნოყიერ ნიადაგს ამზადებს სახელმწიფოებრიობისა და სუვერენიტეტის წინააღმდეგ გარე ჩარევისთვის, აჩენს დაპირისპირების და შიდა არეულობის საფრთხეებს. ამ ფონზე, მკვეთრად იზრდება დეზინფორმაციისა და პროპაგანდის უარყოფითი გავლენა. ეს ყოველივე კი ასუსტებს ეროვნულ უსაფრთხოებას.

ამ საფრთხეების თავიდან არიდების ქმედითი მაგალითები დემოკრატიული სახელმწიფოების გამოცდილებაშია, სადაც უზრუნველყოფილია კარგი მმართველობის ძირითადი პრინციპების აღსრულება. ეს პრინციპებია: ხელისუფლების შტოებს შორის

[3] საინტერესო მიმოხილვას საქართველოში ძალადობრივ ექსტრემიზმთან დაკავშირებით ვხვდებით სხვადასხვა ორგანიზაციის კვლევასა თუ განცხადებაში, მათ შორის, მაგალითად: GCSD, PH-International, საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის ერთობლივი სახელმძღვანელო მედიისთვის, TDI-ს განცხადება 5 ივლისთან დაკავშირებით, GIP-ის პოლიტიკის მიმოხილვა, ასევე რონდელის ფონდის სხვადასხვა ექსპერტის მოსაზრებები)

ბალანსი, ეფექტური საზედამხედველო მექანიზმები, ანგარიშვალდებულების და გამჭვირვალობის პრინციპები და პერიოდული, სამართლიანი და თავისუფალი არჩევნებით, ხალხის მიერ ხელისუფლების ფორმირება/ცვლილება. აღნიშნული პრინციპების დაცვა, თავის მხრივ, საჭიროებს საკანონმდებლო ჩარჩოთი და საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრული მექანიზმების შესრულების პოლიტიკურ ნებასა და კეთილსინდისიერებას.

საარჩევნო პროცედურების დარღვევით გამოწვეული ზიანი სცდება საარჩევნო ყუთსა და პროცესს. ის უარყოფით გავლენას ახდენს ქვეყნის დემოკრატიის სტაბილურ განვითარებასა და ეროვნულ უსაფრთხოებაზე.

სახელმწიფო უწყებების, მათ შორის უსაფრთხოების სექტორის მიერ მოქალაქეთა თავისუფალი ნებით მანიპულირება, მისი ბოროტად გამოყენება და მასში ჩარევა, არსებითი რისკია სახელმწიფო უსაფრთხოებისთვის. ქვეყნისა და მოსახლეობის დაცვაზე პასუხისმგებელი უსაფრთხოების სექტორი, განვითარებადი დემოკრატიის ქვეყნებში, საარჩევნო პერიოდში დილემის წინაშე დგას: დაიცვას დემოკრატია და უზრუნველყოს თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები, თუ ჩრდილოვანი უსაფრთხოების საფარქვეშ აღასრულოს მოქმედი პოლიტიკური ძალის ნება; იყოს დემოკრატიული წესრიგის მცველი, თუ მისი დამხობის მიზანმიმართული ან/და უნებლიე არქიტექტორი. ამის მაგალითია: სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ე.წ. „კრებსები“ საქართველოში, რომელშიც საზოგადოების წევრების (მოსამართლეების, მასწავლებლების, სასულიერო პირების, მედიის და სხვა პირების) ყოვლისმომცველი კონტროლისა და ზეწოლის მცდელობა ვლინდება. „კრებსების“ საქმეზე არაერთ პირს მიენიჭა დაზარალებულის სტატუსი საქართველოს პროკურატურის მიერ. დაზარალებულები კი ადასტურებენ ინტერნეტ სივრცეში გავრცელებულ „კრებსებში“ არსებული ინფორმაციის ნამდვილობას.[4]

საქართველო

საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების და პოლარიზებული გარემოს მიხედვით ჩანს, რომ სახელმწიფო ორგანოები ჯერ კიდევ არ სარგებლობენ საზოგადოების ნდობით[5] და კითხვის ნიშნებია მათ პოლიტიკურ ნეიტრალიტეტთან დაკავშირებით[6]. დაბალია საარჩევნო ადმინისტრაციის ნდობაც. პოლარიზება კიდევ უფრო მეტად

[4] კრებსების საქმეზე დაზარალეულების განცხადებები, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე
[5] საქართველო დემოკრატიის ინდექსის მიხედვით ნახევრად თავისუფალი დემოკრატიის ქვეყანას მიეკუთვნება, Freedom House, Georgia Democracy Index 2023.
[6] NDI და IRI -ის კვლევები;

გაღრმავდა 2020 წლის საქართველოს პარლამენტის და 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების და შემდგომ პერიოდში.[7]

ამავდროულად, არ უნდა დაგვავიწყდეს გლობალური პოლიტიკური მოვლენების პირდაპირი გავლენა საქართველოს უსაფრთხოებაზე: კანდიდატობის სტატუსი შესაძლებლობის ფანჯარაა, რომლის გამოყენებაც დროულად უნდა შევძლოთ. ეჭვგარეშეა, რომ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოება დამოკიდებულია ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციაზე, რის გარეშეც, სახელმწიფო დაუცველია რთულ გეოპოლიტიკურ გარემოში.

თავის მხრივ, ევროატლანტიკური ინტეგრაციისთვის აუცილებელია ევროკავშირის სახელმძღვანელო პრინციპების დაცვა,[8] მათ შორის - სამართლიანი და თავისუფალი არჩევნების უზრუნველყოფა. თავის მხრივ, ეუთოს რეკომენდაციებით,[9] სახელმწიფოს ევალება ევროპის საბჭოს/ვენეციის კომისიის მიერ გამოვლენილი ყველა ხარვეზის აღმოფხვრა, საარჩევნო პროცესში ჩართული სახელმწიფო უწყებების სრული ფუნქციონირების გარანტიების შექმნა, მათი დამოუკიდებელი და ეფექტური ანგარიშვალდებულების გაძლიერება.

ეუთოს ბოლო შეფასებით, საქართველოში უნდა განხორციელდეს ყოვლისმომცველი საარჩევნო რეფორმა, რომელშიც უნდა აისახოს მანამდე გაცემული შეუსრულებელი რეკომენდაციები.[10] აღნიშნული კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ე.წ. ელექტრონულ არჩევნებზე გადასვლის პროცესში. ეუთოს რეკომენდაციების არსი ასახულია შემდეგ პრინციპებში (რომელთა სრული ასახვა კანონმდებლობაში და სრულყოფილი განხორციელება კვლავაც გამოწვევაა საქართველოში):

ადამიანის უფლებებსა და საარჩევნო მართლმსაჯულებაში კანონის უზენაესობა, რომელიც მჭიდრო კავშირშია სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპთან. ეს კი ნიშნავს იმას, რომ დაცულია არამხოლოდ კანონის მიღების პროცედურა და საჯაროობა, არამედ მიღებული კანონები რაციონალურია, შინაარსობრივად შესაბამისობაშია ქვეყნის ძირითად კანონთან-კონსტიტუციასთან, უზრუნველყოფილია თანასწორობა.

პროფესიონალი, ობიექტური და დამოუკიდებელი საარჩევნო ადმინისტრაცია, რომელიც საარჩევნო პროცესის წარმართვის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია. მხოლოდ გამჭვირვალე, მაღალი ლეგიტიმაციით დაკომპლექტებულ, მიუკერძოებელ და

---

[7] მაგალითად, 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) არჩევნებზე სადამკვირვებლო მისია, საქართველოში ადგილობრივი არჩევნები, 2 ოქტომბერი 2021 წელი;

[8] დოკუმენტი ხელმისაწვდომი ბმულზე;

[9] ეუთოს 1999 წლის სტამბოლის დოკუმენტის 25-ე პუნქტი: ეუთოს წევრ სახელმწიფოებს „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნების შეფასებისა და რეკომენდაციების დროულად შესრულების“ ვალდებულება აკისრიათ.

[10] ეუთო/ოდირი, რეკომენდაციების შესრულების პროგრესი საქართველოს მიმართ. ხელმისაწვდომია ბმულზე;

პოლიტიკური მანიპულირებისაგან თავისუფალ საარჩევნო ადმინისტრაციას[11] აქვს სამართლიანი არჩევნების ჩატარების ნდობა;

პლურალისტური პოლიტიკური გარემო და ბალანსის დაცვა ხელისუფლების სხვადასხვა შტოს შორის, რომელიც პოლიტიკური კონკურენციის და უსაფრთხოების გარანტიაა. პლურალისტურ გარემოს **შესაძლებლობათა თანასწორობა** უზრუნველყოფს.[12] პარტიებისთვის, კანდიდატებისთვის, საარჩევნო სუბიექტებისთვის, უმცირესობებისთვის გარანტირებული უნდა იყოს თანასწორობა, რაც გულისხმობს დისკრიმინაციის აკრძალვას და ხელისუფლების ნეიტრალურობას/ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებისგან თავის შეკავებას წინასაარჩევნო კამპანიის წარმოებისას;[13]

ბარიერების მოხსნა - სამართლებრივი, ადმინისტრაციული, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური - საყოველთაო და თანასწორი პოლიტიკური მონაწილეობისთვის. საყოველთაო და თანასწორი პოლიტიკური მონაწილეობისათვის არსებითი საკითხია რომ საარჩევნო საკანონმდებლო ჩარჩო განჭვრეტადი იყოს. არსებული პროცედურები მარტივი და შეზღუდვები/ცენზები პროპორციული;

ბუნდოვანი წარმომავლობის, უკონტროლო და გაუმჭვირვალე პოლიტიკური ფინანსების რეგულირება. მნიშვნელოვანია რომ საარჩევნო პროცესი დაცული იყოს არალეგიტიმური ფინანსებისგან, როგორც შიდა აქტორების, ასევე სხვა სახელმწიფოს მხრიდან ჩარევის შემთხვევებში.

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების კარგი პრაქტიკა და საქართველოსთვის სახელმძღვანელო პრინციპები

ზემოხსენებული პრინციპების განხორციელებისთვის, საქართველოსთვის ღირებული გზამკვლევია სამართლიანი არჩევნების საერთაშორისო კარგი პრაქტიკა და სტანდარტები,

---

[11] შარლ მიშელის დოკუმენტში ასახული პრინციპები არ შესრულდა, ხოლო მოგვიანებით 2024 წელს ინიცირებულ ცვლილებებს, რომლითაც იცვლება ცესკოს თავმჯდომარის და წევრების არჩევის წესი და კვორუმი, საქართველოს პრეზიდენტმა ვეტო დაადო.

[12] ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა, საარჩევნო ნორმათა კოდექსი. გვ.9, 2.3. შესაძლებლობათა თანასწორობა. ხელმისაწვდომია მბულზე;

[13] ეუთოს 1990 წლის კოპენჰაგენის დოკუმენტის 5.4-ე პარაგრაფის მოთხოვნების დაცვას - პოლიტიკური და სახელმწიფო საქმიანობის გამიჯვნას; სახელმწიფო და მასთან აფილირებული მედია საშუალებების მიერ საარჩევნო პროცესის თანაბარ გაშუქებას და გაშუქებისას ნეიტრალური და ობიექტური ტონის შენარჩუნებას; სახელმწიფო დაფინანსების პრინციპის სამართლიან განსაზღვრას და გამჭვირვალობას.

რის თანახმადაც, სამართლიანი და თავისუფალი არჩევნების დაცვის მექანიზმები საკანონმდებლო ჩარჩოშია ასახული, მხარდაჭერილია საარჩევნო პროცესში ჩართული სახელმწიფო ინსტიტუციებით, ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლებით. საერთაშორისო პრინციპები და საუკეთესო პრაქტიკა[14] ქმნის თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების განხორციელების შესაძლებლობათა ჩარჩო კონცეფციას, რომელსაც უნდა ეფუძნებოდეს ეროვნული კანონმდებლობა და მისი შესრულების პოლიტიკური ნება. თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების უფლება დაცულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით.[15] პოლიტიკური ძალაუფლების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ არსებულ დემოკრატიულ გარანტიათა შორის ის ერთ-ერთი ყველაზე ფუნდამენტურია.

სამართლიანი და თავისუფალი არჩევნები დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებულ სტანდარტებს აერთიანებს. კერძოდ:

საარჩევნო დემოკრატიის პრინციპების პატივისცემა - არჩევნები საყოველთაოა, ყველა მოქალაქეს აქვს თანასწორი უფლება მონაწილეობა (მათ შორის ემიგრანტებისთვის არჩევნებში შეუფერხებლად მონაწილეობა) მიიღოს არჩევნებში (აქტიური და პასიური საარჩევნო უფლება); ყველა მოქალაქის ხმის წონა თანაბარია; ყველა მოქალაქეს შეუძლია გააკეთოს თავისუფალი არჩევანი და ხმის მიცემა ფარულია;

საარჩევნო/პოლიტიკური პროგრამები ამომრჩევლებისთვის ხელმისაწვდომია; კანონმდებლობით უზრუნველყოფილია არჩევნების სამართლიანი და მიუკერძოებელი ადმინისტრირება;

არჩევნებში ელექტრონული საშუალებებით მონაწილეობა უსაფრთო და სანდოა (სისტემა სათანადოდაა დაცული განზრახ ჩარევისაგან და სანდოა, თუ მისი ფუნქციონირება გამართულია და დაზღვეულია ტექნიკისა და პროგრამული უზრუნველყოფის ნებისმიერი ხარვეზისაგან. ამომრჩეველს შეუძლია დარწმუნდეს მის მიერ მიცემული ხმის სიზუსტეში და, აუცილებლობის შემთხვევაში, შეასწოროს ფარულობის დარღვევისა და გამჭირვალობის პრინციპის დარღვევის გარეშე).

ეთიკური ქცევა - სამართლიანი არჩევნები დამოკიდებულია არჩევნების ადმინისტრირებაში ჩართული პირების, კომისიის წევრების, კანდიდატების, პარტიების და ყველა იმ პირის ეთიკურ ქცევაზე, ვინც მონაწილეობს საარჩევნო პროცესში. მნიშვნელოვანია რომ პროცესის ყველა მონაწილემ დაიცვას კანონი. მათ გათავისებული უნდა ჰქონდეთ, რომ თავისი კომპეტენციის ფარგლებში თავიდან აიცილონ ისეთი ქცევა, რომელიც კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს თავისუფალ და სამართლიან არჩევნებს. ეთიკური ქცევა ასევე მოიცავს სხვისი პოლიტიკური უფლებების პატივისცემას და გამოხატვის თავისუფლების დაცვას. სიძულვილის ენისაგან თავისუფალ საარჩევნო გარემოს.

[14] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ბმულზე;
[15] ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია. ხელმისაწვდომია ბმულზე;

პროფესიონალიზმი და სიზუსტე - საარჩევნო პროცესში ჩართულმა ყველა მხარემ უნდა დაიცვას პროფესიონალიზმი და იყოს ზუსტი. საარჩევნო დარღვევებსა და გადაცდომებზე სამართლებრივი პროცედურების მექანიზმის გამოყენებისას მტკიცებულებებზე დაფუძნებული და დასაბუთებული გადაწყვეტილებები იყოს მიღებული. ხმების დათვლისა და შედეგების შეჯამების დროს ამომრჩეველთა ხმები და გამოხატული ნება ზუსტად უნდა აისახოს შემაჯამებელ ოქმებში. დაუდევარმა მუშაობამ ან ხმების დათვლის უზუსტობებმა შეიძლება საფრთხე შეუქმნას შედეგების სანდოობას.

ინსტიტუციური გარანტიები - დაფუძნებულია კონტროლისა და ბალანსის სისტემაზე და მოიცავს საარჩევნო პროცესში ჩართული სახელმწიფო ინსტიტუციების უფლებამოსილების გამიჯვნას საარჩევნო ოპერაციების/პროცედურების ჩასატარებლად.

ზედამხედველობა და აღსრულება - საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩო ითვალისწინებს საარჩევნო კანონმდებლობასთან შესაბამისობის ზედამხედველობას და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფას. პროცესის მუდმივი ზედამხედველობა შიდა და გარე მექანიზმების მეშვეობით შეიძლება დაეხმაროს სისტემაში არსებული პრობლემების გამოვლენას და პასუხისმგებელი ჯგუფების ან ინდივიდების იდენტიფიცირებას.

გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება - გამჭვირვალობა ინსტიტუციურ სტრუქტურებს და მათ ქმედებებს/გადაწყვეტილებებს ფართოდ ხელმისაწვდომს და გასაგებს ხდის. გამჭვირვალობა ხელს უწყობს პროცესის გაგებას, წარმოქმნილ სირთულეებს და მიზეზებს, თუ რატომ იღებენ კონკრეტულ გადაწყვეტილებებს საარჩევნო პროცესში ჩართული უწყებები. მეტი გამჭვირვალობა ზრდის პროცესის სანდოობას და შედეგების ლეგიტიმურობას.

უსაფრთხოება - ყველა ქვეყნის საარჩევნო კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს საარჩევნო პროცესის უსაფრთხოების ზომებს, რომლებიც სწორედ სამართლიანი და თავისუფალი არჩევნების ჩატარების გარანტიებს ქმნის. სამართალდამცავი ძალების ჩარევა მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა იყოს საჭირო, თუ საფრთხე ექმნება სააგიტაციო კამპანიის, კენჭისყრის დღის პროცედურების კანონთან შესაბამისად ჩატარებას. ამასთან მნიშვნელოვანია არჩევნების პროცესში სამართალდამცავი და უსაფრთხოების ორგანოების წარმომადგენელების მონაწილეობა მხოლოდ კანონით გათვალისწინებული ფარგლებში და წინასწარ განსაზღვრული პროტოკოლის შესაბამისად, რათა თავიდან იქნას არიდებული საარჩევნო უბნებზე ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც ამომრჩევლების კონტროლის მექანიზმად გარდაიქმნება და გავლენას მოახდენს ამომრჩეველის ნების გამოხატვაზე.

დასკვნა

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სამართლიანი და თავისუფალი არჩევნები დამოკიდებულია **გამოხატვისა და შეკრების თავისუფლებაზე, გაერთიანების თავისუფლებაზე, გადაადგილების თავისუფლებაზე და, რა თქმა უნდა, შიშის/კონტროლის არარსებობაზე.** იგი ასევე დამოკიდებულია გამჭვირვალე საარჩევნო პროცესზე, მიუკერძოებელ საარჩევნო კანონმდებლობასა და სისტემებზე, ყველა მონაწილისთვის თანაბარი შესაძლებლობების შექმნაზე, დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ საარჩევნო კომისიებზე, ზეწოლისა და მუქარის არარსებობაზე საარჩევნო ციკლის ნებისმიერ ეტაპზე, დაწყებული წინასაარჩევნო პერიოდით და დასრულებული არჩევნების შედეგების შეჯამებით.

საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების[16] ფარგლებში ევროკავშირმა მე-4 ნაბიჯით სწორედ აღნიშნულ პრინციპებზე გაამახვილა ყურადღება, კერძოდ, ქვეყანამ უნდა: „მოახდინოს თავისუფალი, სამართლიანი და კონკურენტუნარიანი საარჩევნო პროცესის უზრუნველყოფა - **განსაკუთრებით 2024 წელს** და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის რეკომენდაციების სრულად გათვალისწინება, საარჩევნო რეფორმების დასრულება (...)“

აღნიშნულით, ევროკავშირი საქართველოს მოუწოდებს უზრუნველყოს 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების თავისუფალ, სამართლიან და კონკურენტულ გარემოში ჩატარება; ვენეციის კომისიისა[17] და ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) რეკომენდაციების გათვალისწინებით, დაასრულოს ყოვლისმომცველი საარჩევნო რეფორმა, რომელიც მათ შორის მოიცავს ამომრჩეველთა ადეკვატური წარმომადგენლობის უზრუნველყოფას, საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების წესის ცვლილებას, ინსტიტუციურ დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას.

[16] 2023 წლის დეკემბრის გადაწყვეტილება საქართველოსთვის კანდიდატის სტატისის მინიჭების შესახებ.

[17] ვენეციის კომისიის დასკვნა.